ოქმი:**ო37.37210891**

თარიღი:**30/03/2021**

ოქმი N5

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

2021 წ, 23-24-25-მარტი

ქ. ოზურგეთი

11.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია- საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - გ. ღურჯუმელიძე, მუდმივმოქმედ კომისიათა თავმჯდომარეები: ლ. ბიგვავა, გ.კილაძე, გ.ჩაგანავა, ლ.საჯაია; მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა თავმჯდომარეები: ტ.აროშიძე, ბ.დოლიძე, გ.ჩავლეშვილი, დ.ჭაკნელიძე, გ.თოიძე, ლ. მგელაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: ქ. ვასაძე, მ.ჩხიკვიშვილი, ვ.ჩიგოგიძე, დ.მამალაძე, შ.თავდიშვილი, თ.გოგუაძე, დ.მდინარაძე, ვ. ბერიძე, ბ.ქათამაძე, ლ. ნინიძე, პ. კიღურაძე, გ. ჩავლეშვილი, მ. ზოიძე, ვ.ნიჟარაძე, ვ.ჩხაიძე, ბ. თოიძე, ლ.კილაძე, ვლ.ჩავლეშვილი, ჯ.თავართქილაძე, ალ. ღლონტი, თ. ტუღუში, ვლ.ღლონტი, ლ. სიჭინავა, ტ.მგელაძე, დ.მჟავანაძე, მ.ბერიძე.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე - 46 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 38 -მა, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 38-ხმით.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ 2020 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ინწკირველი

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს წევრმა მ.ჩხიკვიშვილმა დასვა შეკითხვა-ხომ არ იგეგმება ახალ ელექტრონულ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით მერის წარმომადგენლებისა და მისი თანაშემწეებისათვის ტრენინგების ჩატარება. უპასუხეს, რომ გაითვალისწინებენ.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის მიერ 2020 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლაშა თავაძე

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის მიერ 2020 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ილია ლეჟავა

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს წევრმა ლ.ნინიძემ დასვა შეკითხვა-სამხედრო სავალდებულო სამსახური ხელფასიანია თუ არა? უპასუხეს, რომ ჯარისკაცი იღებს თვეში 50 ლარს.

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის განვითარების, ქონების მართვის სამსახურის მიერ 2020 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ალეკო მამეშვილი

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს წევრმა მ.ზოიძემ დასვა შეკითხვა - როდიდან დაიწყება ჩაის ნერგების გაცემა? უპასუხეს - ივლისის თვიდან.

5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის მიერ 2020 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გოჩა კილაძე

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

სხდომა 16.00 საათზე გადაიდო და გაგრძელდა 24 მარტს დღის 11.00 საათზე.

8.6. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს2021 წლის 29 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებლები: ლაშა თავაძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 34 -ხმით

15.7. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი : დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლაშა თავაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 34-ხმით

16.8. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების 2019-2022 წლების სტრატეგიით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მიზნით შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ვადა გაგრძელდება ერთი თვით.

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 34-ხმით

17. 9. არანაკლებ 0.5%-ის მიერ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის გათვალისწინებით ,,ქალაქ ოზურგეთის გენერალური გეგმის მომზადების პროცესში“ - მოქალაქეთა ინფორმირებისა და ჩართულობის მიზნით შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ვადა გაგრძელდება ერთი თვით.

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 34-ხმით

10. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის მიერ 2020 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: მარინა ჯაფარიძე

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს წევრმა ლ.საჯაიამ დასვა შეკითხვა გენდერული თანასწორობის კუთხით გაწეული მუშაობის თაობაზე.

11. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ 2020 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლელა საჯაია

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

12. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახურის მიერ 2020 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: თეიმურაზ გიორგაძე

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს წევრმა მ.ჩხიკვიშვილმა დასვა შეკითხვა-რატომ არ განხორციელდა სამოქალაქო ბიუჯეტირებით განსაზღვრული პროექტები? მიეცა განმარტება, რომ ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ ვერ შეასრულა ვალდებულება და პროცედურის შესაბამისად შეუწყდა ხელშეკრულება. შერჩეულია ახალი შემსურლებელი და პროცესი მიმდინარეობს. საკრებულოს წევრმა ლ.ბიგვავამ დასვა შეკითხვები: ე.წ. „მწოლიარე პოლიციელებისა“, და სანებართვო მოსაკრებლების თაობაზე. მიეცა განმარტება. საკრებულოს წევრმა ლ.საჯაიამ დასვა შეკითხვა ქ.ოზურგეთში საცხოვრებელი სახლის ჭერჩამონგრეული მოქალაქისათვის დახმარების გაწევაზე, თ.ტუღუშმა სოფელ ნატანებში რკინა-ბეტონის გზების დაგებაზე, მ. ზოიძემ ციხისფერდი-გურიანთის გზის რეაბილიტაციაზე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ-გ.ღურჯუმელიძემ - სკოლებისა და საცხოვრებელი სახლების ფასადებისა და ეზოების რეაბილიტაციაზე, რომელთაც მიეცა სათანადო განმარტება.

13. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2020 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: მიხეილ შილაკაძე

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს წევრმა ლ.ბიგვავამ დასვა შეკითხვა - ვინ უნდა აგოს პასუხი ე.წ. „მწოლიარე პოლიციელების“ არასტანდარტულად განთავსებაზე, ასევე კურორტ გომისმთაზე მიწების რეგისტრაციაზე-მიეცა განმარტება.

14. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული

დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ 2020 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

სხდომა 16.00 სათათზე გადაიდო და გაგრძელდა 25 მარტს დღის 12.00 საათზე ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრის სხდომათა დარბაზში.

15. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2020 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს წევრმა ლ.ბიგვავამ განაცხადა, რომ საკრებულოში შემოტანილი ანგარიში არ შეესაბამებოდა მოთხოვნებს, სხდომაზე კი სულ სხვა იქნა წარმოდგენილი, რომელიც ყოვლისმომცველი და ანალიტიკურია, ამ აზრს დაეთანხმა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გ.ღურჯუმელიძეც.

16. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის მიერ 2020 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: კობა ხაბალაშვილი

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

17. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ 2020 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ჩაგანავა

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

18. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2020 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: კონსტანტინე შარაშენიძე

შეფასდა დამაკმაყოფილებლად, მიღებულ იქნა ცნობად.

საკრებულოს წევრმა ლ.ნინიძემ მუნიციპალიტეტის მერს მადლობა გადაუხადა სოფელ ასკანას და მზიანში გაწეული მუშაობისათვის, ლ.ბიგვავამ აღნიშნა, რომ

მართალია მერი დამოუკიდებელი კანდიდატი იყო, მაგრამ მას საქმიანობაში ხელი არ შეშლია, თქვენ აღნიშნეთ, რომ მუნიციპალიტეტის უფლება-მოსილების განხორციელების პროცესში გქონდათ მხარდაჭერა, როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ასევე ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს საკრებულოს მხრიდან. კარგია, რომ ეს პოზიცია დააფიქსირეთ. საქმე იმაშია, რომ ოზურგეთში ჯერ კიდევ მოიძებნება რამოდენიმე პიროვნება, რომლებსაც თქვენი საქმიანობის მიმართ გაკეთებული შენიშვნები ხელშეშლათ რომ მიაჩნიათ. შემდეგ ლ.ბიგვავამ დასვა შეკითხვები: სამოქალაქო ბიუჯეტირებით განსაზღვრული 10 პროექტიდან არცერთი არ განხორციელდა-რატომ?; ქ.ოზურგეთში და დაბა ურეკის ტერიტორიაზე არ ხდება გარე ვაჭრობის მიღებული წესის შესაბამისად რეგულირება-რატომ?; სრულად არაა გადაწყვეტილი პარკირების პრობლემა? არაა მოწესრიგებული ე.წ. „მწოლიარე პოლიციელები“ მოწყობა-რატომ?; მიმდინარე წელს თუ მოხდება სოფლის მხარდამჭერი პროგრამით განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ასახვა მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში? მერმა უპასუხა ამ შეკითხვებს: სამოქალაქო ბიუჯეტირებისათვის გამოყოფილი იქნა 300 ათასი ლარი, მაგრამ სამუშაოები ვერ განხორციელდა, ტენდერები ჩავარდა, ერთ პირთან მოლაპარაკებებს და ხელშეკრულებების გაფორმებას ახლავს რთული პროცედურები; გარე ვაჭრობის რეგულირების მიზნით რიგი სამუშაოები განხორციელებულია, მაგრამ კიდევ ბევრია გასაკეთებელი; სოფლის მხარდამჭერი პროგრამით განსახორციელებელ პროექტები წინასწარ ვერ შეიტანება ბიუჯეტში-დადგენილება არ იძლევა ამის საშუალებას; პარკირების პრობლემა ძირითადად მოგვარებულია, მუშაობა ამ კუთხით გაგრძელდება; სოფლებში რეაბილიტირებულ გზებზე მოსახლეობამ თვითნებურად მოაწყო პრიმიტიული ბარიერები, მძღოლები აჭარბებენ სიჩქარეს, არის შინაური პირუტყვების დახოცვა-დასახიჩრების შემთხვევები, ერთი მხრივ გასაგებია მოსახლეობის ქმედება, მაგრამ პრობლემა მოსაგვარებელია.

საკრებულოს წევრმა პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ დ.მჟავანაძემ მუნიციპალიტეტის მერზე საჯაროდ განაცხადა, რომ ჩაფლულია კორუფციაში, მსგავსი კორუმპირებული მერი მუნიციპალიტეტს არ ახსოვს, მათმა პარტიამ გაამარჯვებინა არჩევნებში და შეცდა, დეკლარაციაში არ შეიტანა, დამალა 150 ათას ლარად შეძენილი ბინა, როცა მისი წლიური შემოსავალი მხოლოდ 48 ათასი ლარია. ხოლო მის უახლოეს ნათესავს დ.გოგუაძის კომპანიას მოაგებინა 250 ათას ლარიანი ტენდერი და გაუფორმა ხელშეკრულება, განაცხადა, რომ ეს კომპანია თავად მერისაა. დ.მჟავანაძეს მხარი დაუჭირა ფრაქციის თავმჯდომარემ ბ. ქათამაძემც, რომელმაც განაცხადა, რომ მერი მილიონებს იხდის ტექნიკის შეძენაში, რომელსაც ამუშავებს ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებში, მაგრამ გამომუშავებული თანხები სად მიდის არავინ იცის, დაბა ნასაკირალში დააგებინა 4 სანტიმეტრიანი ასფალტი, რომელიც უკვე დანგრეულია, პირდაპირი შესყიდვით აფორმებს პირებთან ხელშეკრულებებს, რომლებთან ერთად კორუფციაშია ჩაფლული. მერმა აღნიშნულ განცხადებებთან დაკავშირებით განაცხადა, აქვს თმენის ვალდებულება. საქმიანობას სწავლობს სახელმწიფო აუდიტის სამსახური და ყველაფერი გაირკვევა. ამის შემდეგ მერმა უპასუხა სოფელ დვაბზუდან ონლაინ შეკითხვას ასფალტო-ბეტონის ქარხნის მუშაობასთან დაკავშირებით, საკრებულოს წევრ ლ.საჯაიას შეკითხვას ცენტრალური პარკის რეაბილიტაციის თაობაზე, რომ პროექტის განხორციელება შეჩერდა პანდემიის გამო. სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელმა ავ.ვაშალომიძემ მერს მადლობა გადაუხადა სოფელ ლიხაურში განხორციელებული სამუშაოების გამო და განაცხადა, რომ 7% პარტიის წარმომადგენლები ვერ უნდა ბედავდნენ ასეთი განცხადებების გაკეთებას.

საკრებულოს დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვავამ უპასუხა მისი მისამართით ონლაინ შემოსულ შეკითხვას ქ.ოზურგეთში ტოქსიკური ქარხნის მშენებლობის თაობაზე და განაცხადა, რომ მას ექნება მკვეთრად უარყოფითი დამოიკიდებულება, თუ ქარხნის მშენებლობა განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით. საკრებულოს წევრმა, ლ.ბიგვავამ მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაწეული საქმიანობა შეაფასა დამაკმაყოფილებლად და მოუწოდა საკრებულოს წევრებს მხარი დაეჭირათ აღნიშნული წინადადებისთვის.

საკრებულოს წევრმა ვ.ჩიგოგიძემ განაცხადა, რომ გაოგნებულია იმ სპექტაკლით, რომელიც დადგეს პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა, მისი აზრით ეს არც „ოზურგეთლობაა“ და არც მუნიციპალიტეტის სიყვარულის გამოვლინება, მხარი დაუჭირა ლ.ბიგვავას წინადადებას მერის საქმიანობის დამაკმაყოფილებლად შეფასების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ დ.დარჩიამ ყველა მოსმენილი ანგარიშის დამაკმაყოფილებლად შეფასებას და ცნობად მიღებას ერთად უყარა კენჭი.

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი